103

F550 / 7452

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა.—7

# ოდიში

1991
შაბათი
3
აგვისტო
№92 (10435)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ინტერვიუ გამგებელთან

# სოფლის საკრებულო, დღეს, ხვალ...

**სოფლის საკრებულოში შექმნილ სიტუაციაზე ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა. დღეს დიდი თუ პატარა ამაზე საუბრობს, კამათობს... ზოგი ცოტა ლმაცერად უცქერის საკრებულოს, უმრავლესობა კი იმედის თვალით უყურებს.**

**—სოფელი, პრობლემები, მათი გადაჭრის გზები—ამ საკითხზე ვესაუბრეთ ახალსოფლის საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ქადარიას.**

**—ბატონო ფრიდონ, თქვენ ახალარჩეული გამგებელი ბრძანდებით ახალსოფლის საკრებულოსი. პირველ რიგში გილოცავთ. როგორ ფიქრობთ შეძლებთ ამ მძიმე ტვირთის ტარებას?**

—მილოცვისათვის დიდი მადლობა. თუმცა ვიცი, რომ ეს ტრადიციულია. მე კი ვისურვებდი მილოცვას, როგორც თქვენ აღნიშნეთ ამ მძიმე ტვირთის გატანის შემდეგ.

**—მიმდინარე წლის აპრილის თვეში გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივი საკრებულოების მუშაობის შესახებ. რა სირთულეებია ამ მხრივ, გაქვთ თუ არა საშუალება განახორციელოთ იგი ცხოვრებაში.**

—საქართველოს რესპუბლიკის კანონის ზოგადი საწყისების თანახმად ახალსოფელში ჩატარდა არჩევნები. კანონის მე-6, მე-19 მუხლები ითვალისწინებს დეპუტატების და საერთოდ, სესიის მუშაობის სტრუქტურებსა და კომპეტენციას. აქ ყველაფერი ნათელია და დეპუტატები მოწადინებულნი არიან გააკეთონ დავალების მაქსიმუმი.

რაც შეეხება მე-20 და 33-ე მუხლებს, პირადად ჩემთვის აქაც ყველაფერი გასაგებია. კანონი ითვალისწინებს სოფლებში ახალი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნას. არ მინდა რომელიმე მუხლი მოვიყვანო თქვენთან საუბარში, იგი გამოქვეყნებული იყო პრესაში და ვინც წაიკითხა 1991 წლის 1 მაისის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაიგო ალბათ თუ რას ითვალისწინებს ისინი. თუ ვინმემ ვერ გაიგო ვურჩევ კანონი წაიკითხოს მეორეჯერ, მესამეჯერ. უბედურება იმაშია, რომ ჯერ კიდევ არსებობს ძალები, რომლებმაც არ გაიგეს ეს კანონი და ეძებენ ყველა ხვრელს, რათა შეინარჩუნონ ის, რაც ძველმა სტრუქტურამ მოუტანა. მე მგონი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ საკრებულოებს, მათი გამგეობის წევრებს დიდი ბრძოლა მოუწევთ ასეთი ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების გადასალახავად. მინდა მოგიყვანოთ მარტო ერთი მაგალითი:

სოფლებში, კოლმეურნეობებში ვერა და ვერ ეგუებიან ფაქტს, რომ ყოფილი როგორც მმართველობის, ასევე სხვა სტრუქტურები დრომოჭმულია და მთელი თავიანთი გონებით, ძალით სარგებლობენ რესპუბლიკაში არსებული დღევანდელი მძიმე ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობით და ამტკიცებენ თითქოსდა კოლმეურნეობა იყოს ე. წ. წარმოება და აქ საკრებულოს, მის გამგეობას, გამგებელს არაფერი ესაქმება. კი ბატონებო, დასაშვებია აზრი თითქოს კოლმეურნეობა იყოს წარმოება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ისეთი სპეციფიკური წარმოება, რომელიც ყველა სხვა წარმოებისაგან განირჩევა თუნდაც იმით, რომ არის სოფლის საკუთრება და შემოისაზღვრება მთლიანად მისი ტერიტორიით. და თუ საკრებულოს არა აქვს გავლენა ამ „წარმოებაზე“ მაშ, რა არის საკრებულო? მისი გამგეობა, გამგებელი? რა ფუნქციების შესრულება ევალებათ გამგეობას და მის წევრებს, სადაც კანონის თანახმად არ უნდა იყოს არც ერთი დეპუტატი (გარდა გამგებლისა), თუ არა ძველი სტრუქტურის შეცვლისა, თუ არა სოფლის საქმის უკეთესად წაყვანისა, თუ არა ხალხის სამსახურში ჩადგომისა? დასამტკიცებლად მივმართეთ აღნიშნული კანონის 29-ე მუხლს. დღეს კი ზოგიერთი კოლმეურნეობის აპარატის წევრების აზრით საკრებულოს გამგეობამ იგივე მოვალეობა უნდა შეასრულოს, რასაც ყოფილი საბჭო ასრულებდა, და ბევრი მათგანი შეგნებულად თუ ინერციით „საბჭოს“ გვიწოდებენ. არა, ბატონებო, საკრებულოებმა, იქ, სადაც ისინი მოწოდების სიმაღლეზე დგანან იციან თუ რა მოვალეობა აკისრიათ, იციან მშრომელი თანასოფლელების მტკიცე აზრი იმის შესახებ თუ როგორ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს ყველაფერი, მათ შორის მმართველობის სტრუქტურაც, რათა წინ წავიდეს სოფლის საქმე, გამდიდრდეს სოფელი, მშრომელი ხალხი ეკონომიურად, ფიზიკურად, მორალურად, ბოლომდე ვიბრძოლებთ ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის და არ დავუშვებთ სოფელი დაემსგავსოს იმ ჩვილ ბავშვს, რომელიც ორ ძიძას შორის ზრმად დარჩა.

**—თქვენ გაქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება... როგორ ფიქრობთ, რა არის დღეს უმთავრესი, საიდან უნდა დაიწყოთ?**

—მე, მაგალითად სოფელში პურის მომარაგებით დავიწყე. სოფლის მცხოვრებლები, მშრომელები უკმაყოფილო არიან მომარაგების დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ვიცი ეს მარტო ჩვენი სოფლის გასაჭირი არ არის, მაგრამ ხალხს ხომ უნდა ავუხსნათ მდგომარეობა? მათ იციან თუ რა მსხვერპლია საჭირო თავისუფლებისათვის, მაგრამ თხოულობენ პირველადი მოხმარების საქონლის მინიმუმთან ერთად აღდგენილ იქნას სოფელში ტელეფონი, დამწვარი კულტურის სახლი, გზები. მომავალში ჰქონდეთ წყალი, ბუნებრივი გაზი...

**—მტკივნეული წერტილი?—**

—ბოდიში სტერეოტიპული პასუხისათვის—ყველა წერტილი მტკივნეულია. ამ ტკივილების მოსაშუშებლად შრომაა საჭირო; ვსარგებლობ შემთხვევით და თხოვნით მივმართავ ჩემს თანასოფლელებს, რომ არ შევრცხვეთ, იმდენი ხარისხიანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ, რომ გვეყოს ყველა საკითხის მოსაგვარებლად. იცოდეთ, ახალსოფლელებმა იციან გვერდში ამოდგომა; მათთან ხშირმა შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ ჩვენი სოფელი თავს დააღწევს ჩამორჩენას.

**—ბატონო ფრიდონ, მე ვესწრებოდი თათბირს, სადაც გადაწყდა სოფელში შეიქმნას, ეროვნული გვარდიის სათადარიგო ჯგუფი, თუ შეიძლება გვითხარით როგორია მისი მიზნები და ამოცანები.**

—ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტის დონეზეა. მოხარული ვარ სოფლის ახალგაზრდობის, აქტიურობის, ისინი მოწადინებულნი არიან ემსახურონ ერს, სოფელს. სოფელში ეროვნული გვარდიის სათადარიგო ჯგუფის შექმნას ჩვენ შევუთანხმებთ პრეფექტურას, კომისარს. ეს იქნება შეიარაღებული ახალგაზრდებისაგან შემდგარი 300-კაციანი ჯგუფი 18 წლიდან 40 წლამდე, რომლებიც მზად იქნებიან საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტის ბრძანებით, პირველნი დადგნენ მამულის დასაცავად, მშვიდობიან დროში (ღმერთმა ყოველთვის მშვიდობა მოგვცა) კი სოფლის სადარაჯოზე იქნებიან დრო-გამოშვებით.

—გისურვებთ წარმატებებს.

—გმადლობთ.

ესაუბრა **ნათია ჯგუშია.**

სიახლე

# შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი

დღეს არავის უკვირს თანადგომა და საერთო საქმისათვის ღწვა. საქართველო მიდის სანუკვარი ტაძრისაკენ. სიახლეა ირგვლივ, დრომ შვა თაობა რომლებიც სამფეროვანი დროშით მიიკვლევენ გზას სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ.

სიახლემ შემოაღწია სოფელ რუხშიც. შრომისმოყვარე ადამიანებმა იწამეს დღევანდელობა და ერთ მუშტად შეკრულნი მზად არიან წინ აღუდგნენ ძველს, დრომოჭმულს, ყოველგვარ დაბრკოლებას.

სოფლის კეთილდღეობისათვის ბრძოლაა დღეს ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა, ამან განაპირობა ბინსოცბანკში საკრებულოს ანგარიშის გახსნა, რომლის ნომერია 14211.

ინიციატივას პირველებმა აუბეს მხარი და საკრებულოს ანგარიშში საგრძნობი თანხა ჩარიცხეს ორგანიზაციებმა, ინდივიდებმა. საკრებულოს ფონდში 20 ათასი მანეთი ჩარიცხა ზურაბ ქადუამ, წისქვილკომბინატის დირექტორმა ვლადიმერ გულორდავამ—10.000 მანეთი, ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორმა საშა შერომზიამ 10.000 მანეთი და ა. შ.

ძმა-ძმისთვისაო გამონათქვამმა რეალურობა ჰპოვა რაჭაში მიწისძვრით გამოწვეული ტრაგედიის დროს. სოფელი აქტიურად გამოეხმაურა ამ ფაქტს და დაზარებულთა ფონდში გადაირიცხა საგრძნობი თანხა.

პირადი დანაზოგიდან დაზარალებულთა დახმარების ფონდში ალიკო ქადუამ გადარიცხა 500 მანეთი, ალიკო თოდუამ 200 მანეთი და ა. შ.

სოფლის ამაღლებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვის ეს ფორმა კიდევ მეტ შინაარსს შეიძენს შემდგომისათვის.

**რ. თოდუა,**

პედაგოგი, რუხი საკრებულოს წევრი.

მეცხოველეობა—91

# ველით დახმარებას

დარჩელის მეურნეობის მეღორეობის თერმის საიჯარო ბრიგადა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაზარდოს ხორცის წარმოება. საგრძნობლად შეამციროს თვითღირებულება და სხვა კომპონენტების მოშველიებით შეამციროს გადახარჯვები საკვების წარმოების საქმეში. წარმატებები უკეთესი გვექნებოდა, რომ 1989 წლის ნოემბერში მოსახლეობას არ გაერღვია ფერმის შემოკავებული ტერიტორია და იგი საერთო არ გაეხადათ. შესაკეთებელია ნაკელგამტანი და სხვა დანადგარები. არა გვაქვს დამოტყებული საქონლის საწონები, ახლადაშენებულ ფერმას ისევ სჭირდება შეკეთება.

ხორცის წარმოების დონის ამაღლება საკვების გარეშე, რომ შეუძლებელია ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. და ჩვენ ამ მხრივ დიდი სიძნელეების წინაშე ვართ. არა გვაქვს საკმაო რაოდენობით კომბინირებული საკვები. ლობე გარღვეულ ფართობზე მწვანე საკვებს მოსახლეობის პირუტყვი შეექცევა და ფერმის ღორებს თითქმის არაფერი რჩება.

მივხედოთ მეღორეობის ფერმის საიჯარო ბრიგადას.

**ა. ჟანტურია.**

გამოხმაურება

# თხუთმეტი ერთის წინააღმდეგ

დიახ, არსებობს პრესის თავისუფლება საქართველოში, მაგრამ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, გარდა კომუნისტურისა, არ არსებობს საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება და თანაც ისე წარმოჩენა, თითქოსდა ეს იყოს—პატრიოტობა, სამართლიანობის დაცვა და, რაც მთავარია, ქრისტიანული მიმტევებლობა.

ამ წერილის ავტორს ახსოვს გაზეთ „მებრძოლში" გამოქვეყნებული წერილი, სადაც კაცი, რომელმაც საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული ყურძენი მეზობელს მიჰყიდა, გამოცხადებული იყო ქვეყნისა და ერის მოღალატედ. ეტყობა, გაზეთმა „მებრძოლმა" „ოდიში" დაირქვა და სახელწოდება შეიცვალა, კომუნისტურობა კი — არა. არადა საქმეში ჩაუხედავად არ გამოაქვეყნებდა ასეთ პასკვილს —„ღია ბარათი ზაირა ქირიას!" („ოდიში", 18 ივლისი, № 85). საქმე ეხება ეროვნებათშორისი ურთიერთობის უსათუთეს საკითხს.

ამოვწეროთ 15 ავტორის აზრი აღნიშნული წერილიდან: „საქართველო და ქართველობა იმისათვის გინდოდათ, რომ სალაროში გემუშავათ და როგორც კი თქვენს მრწამსს(?) ნიღაბი აეხადა, სამუშაო ადგილის შენარჩუნების მიზნით ქართველი ეროვნების პასპორტი გაიკეთეთ".

ავტორების გონებით და ღია ბარათის მიხედვით, ზაირა ქირია იმიტომ დაბადებულა აფხაზად, რომ ძალად მოვლინებოდა ქართულ ოჯახს, დაერღვია „ყოველგვარი კანონისა და სამართლის ბარიერი", გაეკეთებინა ქართველი ეროვნების პასპორტი, ეშვა-აღეზარდა და მერე გადაეჯიშებინა, „თვალხატულა გოგონები", მიეტევებინა შეურაცხყოფა ვიღაც შუკვანისათვის, დაძაბულობა შეეტანა „მრავალეროვან" კოლექტივში, გამოეყენებინა „გავლენიანი მფარველები" და ა. შ. და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ შეენარჩუნებინა „რკინიგზის ზუგდიდის სადგურის მოლარის" თანამდებობა.

სინამდვილეში კი ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან ირკვევა: — ზ. ქირია რკინიგზის ზუგდიდის სადგურის სათადარიგო მოლარეა 1982 წლიდან. წარმატებით აბარებს გამოცდებს 1982 წელს და, შემდეგ კი, 1986 წელსაც. ხოლო, როცა 1987 წელს გამოჩნდა ვაკანტური ადგილი, იმავე სალაროში მოლარედ ნიშნავენ არა ზ. ქირიას, არამედ ვიღაც ა. ეგუტიას, რომელსაც რკინიგზასთან არავითარი კავშირი აქვს. ამით უკმაყოფილო ზ. ქირია წერს საჩივრებს კანონიერ უფლებებში აღდგენის მოთხოვნით. აღნიშნულს ყურად იღებენ და, ჯერ კიდევ 1987 წლის დეკემბერში, შემდეგ კი 1988 წლის მარტში პროკურორები (გ. ფაჩულია, გ. სავანელი) ერთხმად მოითხოვენ ზ. ქირიას კანონიერი უფლებების აღდგენას.

და ამის შემდეგ იწყება მთავარი: ახსენდებათ, რომ ქირია იყო აფხაზი, ვიღაც საეჭვო პირები იღებდნენ ბილეთებს სალაროდან, რომ გამოიცვალა პასპორტი და ქართველად ჩაეწერა და ა. შ.

დაირაზმნენ რკინიგზელები:—არ წყდება ტელეფონის ზარები... ხვდებიან გზაზე, უვარდებიან სალაროში, მუქარით მიაცილებენ სახლში... მოთხოვნა ერთადერთია—დათმოს მოლარის თანამდებობა და საერთოდ წავიდეს აქედან.

განერვიულებული ზ. ქირია გაზეთ „აბხაზიაში" აგზავნის წერილს „იზ ზა ტაგო ჩტო ია აბხაზკა", რასაც სიხარულით უბეჭდავენ გასაგები მიზეზის გამო. აქ კი თხუთმეტი გამოდის ერთის წინააღმდეგ... იძაბება მდგომარეობა, დაწყვეტაზეა ნერვები. იწერება წერილი, სადაც ადამიანები საკუთარ თვალებში იფურთხებიან და სხვას კი ნიშნის მოგებით ეუბნებიან:—ა, შენ!

ინდიკო ქობალია.

# დაე, მკითხველმა განსაჯოს

ბატონო ინდიკო! ვბეჭდავთ თქვენს წერილს უცვლელად, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში თქვენს პოზიციას ვერ გავიზიარებთ. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ:

ბატონო ინდიკო! უადგილო ხომ არ არის გაზეთ „მებრძოლში" ოდესღაც გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის მოშველიება იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ რედაქციის მუშაკებმა რისხვა დავატეხეთ თავზე იმ მოქალაქეს, რომელმაც თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული ყურძენი მეზობელს მიყიდა და რედაქციამ ეს ხელებდაკოჟრილი გლეხი კაცი ქვეყნისა და ერის მოღალატედ მონათლა. საინტერესოა, სად ამოიკითხეთ იგი, როცა ასეთი ბრალდება არავისთვის არ წაგვიყენებია. რამდენიც არ უნდა ქექოთ „მებრძოლის" გაყვითლებული კომპლექტები, თქვენ ვერ მონახავთ ისეთ პუბლიკაციას, რომელშიც ჩვენ ვინმეს ქვეყნისა და ერის მოღალატედ ვიხსენიებდით. ისე კი ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე ისე ჭარამარა ხმარობს ამ ფრაზას, რომ ვერ გაიგებ ვინაა ქვეყნისა და ერის მოღალატე და ვინაა ჭეშმარიტი ჭომაგი.

ყურძნისა და თხილის გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზარსა და სხვა ადგილებში იმ დროისათვის მთავრობის დადგენილებით სასტიკად იკრძალებოდა ვიდრე მისი დამზადების სახელმწიფო დავალება არ შესრულდებოდა. ჩვენის მხრიდან თვალთმაქცობა იქნებოდა და თქვენც არ დაგვიჯერებთ, რომ ამ თემაზე მწვავე პუბლიკაციები და რეიდის მასალები არ გამოგვექვეყნებინოს გვარებისა და სახელის დასახელებით. როგორ არა, დავბეჭდეთ, მაგრამ ერის მოღალატე არავისთვის გვიწოდებია.

როგორ ფიქრობთ, დღევანდელი მთავრობის დადგენილების საპირისპიროს თუ ჩაიდენს ვინმე, ადგილობრივ გაზეთს აქვს უფლება წაუყრუოს და არ გამოეხმაუროს ასეთ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას?

გაიხსენეთ, ამ ბოლო სესიაზე როგორ მტკივნეულად და მთელი განცდით ლაპარაკობდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია იმ კომერსანტების შესახებ, რომლებმაც მთელი რესურსები გაზიდეს საქართველოდან და ისედაც მოშლილი ეკონომიკა სულ დააკნინეს. ასე რომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას არც ძველი მთავრობა პატიობდა და არც ახალი მთავრობა აპირებს დარღვევების მიმართ წაყრუებას და დათმობას.

თქვენ წერთ, „მებრძოლმა" სახელწოდება შეიცვალა, მაგრამ კომუნისტურობა კი არაო. გაუგებარია რისი თქმა გსურთ. თუ იმას ფიქრობთ, რომ გაზეთი „ოდიში" კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას ეწევა დღეს, ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. საქართველოს კომუნისტური პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ცხოვრება"-ც კი ვერ უწევს ჯეროვან პროპაგანდას კომუნისტურ იდეოლოგიას, ვერ უწევს იმიტომ, რომ ამ იდეოლოგიას დღეს ყველანაირი საფუძველი გამოცლილი აქვს და მისი არაფერი სწამს იმასაც კი, ვისაც კომუნისტის წითელი მანდატი უდევს ჯიბეში. ელოს, რას ვერჩით, შეინახოს როგორც რელიქვია.

ჩვენი გაზეთი კომუნისტური რეჟიმის დროსაც იყო თავისი რაიონის მშრომელთა ინტერესების გამომხატველი და ამავე მიზანს ემსახურება დღესაც. დაუმსახურებლად ვინმეს მითითებით და კარნახით გაზეთს არასოდეს არავინ გაუკრიტიკებია და ნურც ნურვინ შეეცდება სხვისი ცოდვები ჩვენ ზურგზე აგვკიდოს. უცოდველი და უშეცდომო არც წარსულში და არც დღეს არავინ არის და რათქმა უნდა, არც ჩვენა ვართ. ამიტომ რისი მიტევება შეიძლება, მივუტევოთ ერთმანეთს. თანადგომით ვაკეთოთ ქვეყნისა და ერის საქმე. რედაქცია ის კოლექტივია, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ზემდგომი ორგანოების ზედმეტი ყურადღებით განებივრებული და გალაღებული. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტიც კმარა, რომ რედაქციისა და სტამბის მშენებლობისათვის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ვერ გამოინახა შესაფერისი ადგილი და კეთროვანივით განაპირა უბანში მიუჩინეს ბინა. რესპუბლიკის ნებისმიერ რაიონსა და ქალაქში რედაქცია ცენტრალურ ნაწილშია. ასეა ეს ყველგან, სადაც კარგად ესმით გაზეთის ფასი.

თქვენი წერილიდან გამოდის, რომ „ოდიში" ის გაზეთია. რომელმაც საქმეში ჩაუხედავად გამოაქვეყნა პასკვილი „ღია ბარათი ზაირა ქირიას" და ამით ხელი შეუწყო ქართველთა და აფხაზთა შორის შუღლის გაღვივებას, ალბათ არც ერთ საქალაქო და რაიონულ გაზეთს როგორც წარსულში ისე შემდგომ პერიოდში არ გამოუქვეყნებია იმდენი პუბლიკაცია ქართველთა და აფხაზთა მეგობრობაზე რამდენიც ჩვენს გაზეთს. და თუ რომელიღაც პროვოკატორის ფეხის ხმას აჰყვა ზაირა ქირია, ამაში ჩვენ რატომ ვართ დამნაშავე?

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ზუგდიდში ვერ მონახავთ სხვა ეროვნების ისეთ წარმომადგენელს, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობდეს იმისათვის, რომ ის ოსია, აფხაზი, რუსი ან სხვა... ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში რედაქციაში შემოსული ეროვნულობის ნიადაგზე დაჩაგრული პოზიციის გამომხატველი ერთი წერილიც არ მახსოვს, მადლიერებისა კი რამდენიც გნებავთ იმდენი იყო. დაჩაგრულის როლში უფრო მეტად მკვიდრ ზუგდიდელს შეხვდებით. ფაქტები? რამდენიც გნებავთ იმდენია. შეამოწმეთ როგორ ცხოვრობს ზოგიერთი მკვიდრი ზუგდიდელი, რომელთა მამა-პაპა აქ დაბადებულა, გაზრდილა და ფეხი აუდგამს.

...რაკი ქალბატონი ზაირა აფხაზია ზუგდიდელი რკინიგზელები ერთსულოვნად დარაზმულან ამ უწყინარი ქალბატონის წინააღმდეგ, ეს თქვენი წერილის სათაურიდანაც გარკვევით ჩანს. ასეთ დაპირისპირებას ქალბატონი ზაირა ისე გაუნერვიულებია, რომ აფხაზეთის ყველაზე რეაქციულ, ქართველთა მოძულე რუსულენოვანი გაზეთ „აბხაზიასათვის" მიუმართავს. გაზეთმაც არც აცივა, არც აცხელა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ზაირა ქირიას წერილი სათაურით „იზ ზა ტაგო, ჩტო ია აბხაზკა". თუ როგორ შეგვამკობდა ქალბატონი ზაირა ქართველებს, ეს სათაურიდანაც კარგად ჩანს.

თქვენი მხარდაჭერით გათამამებული ქალბატონი ალბათ კვლავ ეწვევა თავის საყვარელ რედაქციას. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამჯერად გაზეთ „აბხაზიის" საკბილო „ოდიშის" რედაქციაც იქნება.

თუ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მივაყენეთ ქალბატონ ზაირას, ჩვენ შეგვწევს უნარი ბოდიში მოვუხადოთ მას. მაგრამ ვფიქრობთ მასთან საბოდიშო არაფერი გვაქვს.

მაგრამ ბოდიშის მოხდაზე თუ მიდგება საქმე, კეთილი ინებონ და მოუხადონ ბოდიში ქალბატონ ზაირა ქირიას იმ ღია წერილის ავტორებმა, რომლებმაც ატეხეს აურზაური და ღმერთმა უწყის როდის დაცხრება იგი.

ამაზე თქვენი აზრიც გვაინტერესებს მკითხველო.

აკაკი შანტურია,

# დიუმა იწყებს და იგებს

კონკურსში—„1990 წლის ასი საუკეთესო წიგნი"—აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა ა. დიუმას ნაწარმოებები. გამარჯვებულთა სიას სათავეში უდგას მისი რომანი „ორი დიანა", ამ სიაში მწერალი კიდევ რვაჯერ არის მოხსენიებული. სხვათაშორის პრიზიორის ტირაჟმა—5,5 მილიონი ეგზემპლარი შეადგინა.

მათ, ვინც მორიგ იმედგაცრუებას გამოთქვამს მკითხველის გემოვნების არამომთხოვნელობის თაობაზე, ვაუწყებთ, რომ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა სიაში, რომელიც ყოველკვირეულ „წიგნის მიმომხილველის" მკითხველებმა შეადგინეს, შეტანილია სულ სხვადასხვა სახის გამოცემები და ისინი საკმარისად ფართოდ ასახავენ აბლანდელი საზოგადოების ინტერესებს. მეორე და მესამე ადგილზეა ა. სოლჟენიცინის რომანები „პირველ წრეში" და „გულაგის არქიპელაგი". საუკეთესო წიგნთა სიაშია თავის დროზე აკრძალული სხვა „დისიდენტთა" და საზღვარგარეთის რუს ავტორთა ნაწარმოებები. რამდენჯერმე არის ნახსენები ვ. ნაბოკოვის რომანები. ერთ-ერთი მათგანი—„ლუჟინის დაცვა" სიაში მეასე ნომრად არის შეტანილი. დასახელებულია ი. დომბროვსკის, ვ. ვოინოვიჩის, ბ. პასტერნაკის, ვ. გროსმანის ნაწარმოებები.

თაყვანისცემლები გამოუჩნდნენ აგრეთვე ბ. ელცინის წიგნს „აღსარება მოცემულ თემაზე" და ს. ალილუევას „ოცი წერილი მეგობარს".

საწყენია მხოლოდ ის, რომ გულგრილობა გამოიჩინეს რუსული კლასიკური ლიტერატურისადმი: ასობით გამარჯვებულში მხოლოდ თ. დოსტოევსკის „ბესია" შეტანილი.

კონკურსის შედეგების მიხედვით ჟიური საკავშირო საზოგადოება „წიგნში" მკითხველთა აღიარების დიპლომით დასაჯილდოებლად წარადგინა გამომცემლობები „პრავდა", „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა", „დნეპრო", და „ბელარუსი", რომელთაც ყველაზე უფრო პოპულარული ნაწარმოებები გამოუშვეს.

საკდესის მიმომხილველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულება

მდგომარეობის ანალიზი მოწმობს, რომ სისტემატური ხასიათი მიიღო ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე მცირე ფორმის სავაჭრო ობიექტების უნებართვოდ, უგეგმოვნოდ განთავსებამ, რაც ტრადიციული იერ-სახის დამახინჯებასთან ერთად ხელს უწყობს მწვანე ზოლის განადგურებას, იხერგება გზის სავალი ნაწილები და ხელი ეშლება ტრანსპორტით უსაფრთხო მოძრაობას, აღნიშნულთან დაკავშირებით:

1. აიკრძალოს ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ყველა სახის და ტიპის უნებართვო სავაჭრო ობიექტების შექმნა და ფუნქციონირება, ყველა სახის უნებართვო ვაჭრობა, რისთვისაც დაწესდეს ჯარიმები:

1. იურიდიული და კერძო პირებისათვის.

—ყოველ მაგიდაზე — 300 მანეთი
—დახლზე — 500 მანეთი
—ჯიხურზე — 2000 მანეთი
—ავტოფარდულზე — 2000 მანეთი
—პავილიონზე — 3500 მანეთი.

2. განკარგულების მოქმედებაში შესვლიდან 10 დღის ვადაში ყველა ორგანიზაცია, დაწესებულება, კოოპერატივი და კერძო პირი ვალდებულია მიიღოს ნებართვები ქალაქისა და რაიონის პრეფექტურიდან, ნებართვის მიღების შემთხვევაში ისინი იხდიან ზემოთ დაწესებულ ჯარიმებს. უნებართვოდ და (პროექტის გარეშე) მოწყობილი ობიექტები, რომელთა შემდგომი ფუნქციონირება არქიტექტურის მიერ ჩაითვლება მიზანშეუწონლად, იმავე ვადაში გატანილი უნდა იქნას განთავსების ადგილიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გავრცელდება განკარგულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და აილება იძულებით.

II. საჯარიმო თანხების ამოღებისათვის საჭირო დოკუმენტების შედგენა და საკრებულოების გამგეობებისათვის წარდგენა დაევალოს შს საქალაქო-რაიონულ განყოფილებას.

III. საკრებულოების გამგეობებმა შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ მოკვლეული მასალები დაუყოვნებლივ გადასცენ სასამართლო ორგანოებს.

IV. ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციის, კოოპერატივის და კერძო პირებისათვის დროებითი ტიპის მცირე ფორმის ობიექტების განთავსებაზე, რომლებიც ფუნქციონირებენ (განთავსებაზე ნებართვის მიცემის დროის მიუხედავად) დაწესდეს ყოველთვიური შენატანები ადგილობრივ ბიუჯეტში „განთავსებაზე გადასახადის" სახით:

| ობიექტის ტიპი | ქალაქის ცენტრალურ უბანში | ქალაქის შიგა კვარტალებში | რაიონის ტერიტორიაზე ცენტრალურ ავტომაგისტრალზე | რაიონის [illegible] ტერიტორიაზე |
|---|---|---|---|---|
| მაგიდა | 100 მანეთი | 50 მანეთი | 50 მანეთი | 30 მანეთი |
| დახლი | 200 მანეთი | 100 მანეთი | 100 მანეთი | 50 მანეთი |
| ჯიხური | 300 მანეთი | 150 მანეთი | 150 მანეთი | 100 მანეთი |
| პავილიონი | 500 მანეთი | 300 მანეთი | 300 მანეთი | 150 მანეთი |

V. განკარგულებით დაწესებული საჯარიმო თანხების და „განთავსებაზე გადასახადის" ამოღება უნდა უზრუნველყოს საგადასახადო ინსპექციამ (მ. ახალაია) „განთავსებაზე გადასახადის" გადახდის ვადად დაწესდეს ყოველი თვის 20 რიცხვი.

VI. განკარგულებით გათვალისწინებული საჯარიმო და საგადასახადო თანხები ჩაირიცხოს შემდეგი წესით: ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე — 100 პროცენტით ქალაქისა და რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში, სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე 50 პროცენტი ქალაქისა და რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში, 50 პროცენტი სოფლის საკრებულოს ბიუჯეტში.

VII. განკარგულება ძალაში შედის მ—წლის 10 აგვისტოდან.

VIII. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოთ ქალაქისა და რაიონის საკრებულოებს და საფინანსო განყოფილებას.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი.
თ. ძორძოლიანი.

1991 წლის 30 ივლისი

## შენმა საქმემან გამოგარჩინა

არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც შრომითი საქმიანობის ოცდაათი წლის იუბილე გადაუხადეს საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" კულტურის სასახლის კინომექანიკოსს, შესანიშნავ პიროვნებას მურმან ბაძაღუას. მას ღირსეულ პატივს მიაგებს მთელი კოლექტივი, საწარმოს დირექციამ იუბილარი გარკვეული ფულადი თანხით დააჯილდოვა. ღონისძიების ინიციატორი იყო კულტურის სასახლის დირექტორი მზია ქვარცხავა.

ქალბატონი მზია ბევრი კეთილი საქმის თაოსანია. ახლახან კულტურის სასახლის თანამშრომლის ვარო გვილიას საცხოვრებელ ბინას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რაც კულტურის სასახლის კოლექტივმა განახორციელა საკუთარი სახსრებით. აქაც წონადი სიტყვა თქვა ქალბატონმა მზია ქვარცხავამ. ბი, ამიტომაცაა, რომ მას დიდი ავტორიტეტი აქვს ენგურელ მექაღალდეთა კოლექტივში.

ბაბო ზარია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

## შეხვედრა შეუცნობელთან

ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს ქალაქში ვიზიტად იმყოფებოდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ბატონი თალეს შონია (იხ. „ოდიში" № 88 1991 წ. 25—VII).

გაიმართა შეხვედრა და საქმიანი საუბარი ქალაქის პრეფექტურაში, რომელიც გაგრძელდა შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც სტუმარმა ფართო საზოგადოებას გააცნო კომისიის საქმიანობა, უპასუხა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ბატონ თალესის უჩვეულო მეთოდმა გეოფიზიკური ველების დადგენაში მოცემულ ადგილას, მის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ორგანიზმის მდგომარეობის დადგენის ექსპრეს-მეთოდმა. მერე კი „ცისარტყელას" კინოდარბაზში ნაჩვენები იყო ვიდეო მასალა საქართველოში უფოლოგიის მდგომარეობის შესახებ. ამან დიდი რეზონანსი გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ უფოლოგია საქართველოში ბოლო დრომდე ვითარდებოდა ნახევრად იატაკქვეშეთში, ცარიელ ენთუზიაზმზე. ის იდევნებოდა კომუნისტური ოფიციოზის მიერ და მიუხედავად ამისა, მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებმაც განაცვიფრა თვით უცხოელი სპეციალისტებიც კი (სადაც, რაღა თქმა უნდა, უფოლოგიის განვითარებას მწვანე შუქი ჰქონდა!). ამაზე მოთხრობილია გაზეთ „სოფლის ცხოვრების" ა. წ. 19 აპრილის ნომერში, სადაც გაშუქებულია 2 6 დეკემბერს ქ. რუსთავში ჩატარებული უფოლოგიის საერთაშორისო კონფერენციის მასალები.

ახლა უკვე არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ საქართველოს გეოფიზიკური მდგომარეობა ხელს უწყობს არამიწიერ ცივილიზაციათა შედარებით უფრო ხშირ ვიზიტებს. სავარაუდოა, რომ ჩვენთან შედარებით უზენაესი ინტელექტი მოილტვის ჩვენთან ფართო კონტაქტებისკენ, უნდათ როგორმე აგვაცილონ თავიდან ეკოლოგიური კატასტროფა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ჯერჯერობით თავს იკავებს ამისგან. საჭიროა ფართო კვლევით სამუშაოთა ინტენსივობის კიდევ უფრო გადიდება.

მთელი რიგი ფაქტები უცხო ცივილიზაციის გამოცხადებისა დაფიქსირებულია ჩვენს რეგიონშიც. ჩვენს უფოლოგებს ჰქონდათ შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან, აგრეთვე უწმინდესსა და უნეტარესთან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან. აღინიშნა, რომ ყველა ის თორმეტი სხვა და სხვა ცივილიზაცია, რომელთა ვიზიტები დაფიქსირებულია, მისდევს იმავე ათ მცნებას სიკეთესა და პატიოსნებაზე, რომლებიც შეადგენენ ჩვენი ზნეობის და სარწმუნოების დედაბოძს, აღიარებენ აგრეთვე ქრისტეს ჯვარს, რომ უფოლოგიის განვითარება ღვთისნიერი საქმეა. და საჭიროა ამ დიდი ეროვნული საქმისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

ქალაქ თბილისში და რუსთავში დაარსებულია უფოლოგიის კვლევითი ცენტრი. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკის ცენტრი გადატვირთულია. კულტურულ-მეცნიერული ობიექტებით, ის გახდა, ასე ვთქვათ, „თავყუმბარა", ახლა აღინიშნება ტენდენცია კულტურული განვითარების დეცენტრალიზაციის. რეგიონებში იხსნება ინსტიტუტები.

არის გადაწყვეტილი გაიხსნას საქართველოს რესპუბლიკის უფოლოგიის ცენტრის ზუგდიდის ფილიალი. თუმცა უფოლოგიის განვითარებაც დიდი ეროვნული საქმეა, ფილიალი აგრეთვე გასწევს დიდ სამუშაოს ეკოლოგიის შესწავლაში, მშენებლობის დაგეგმარებაში რეგიონის გეოფიზიკის მეცნიერულად გათვალისწინებით, ბუნებრივი და ანტროპოგენური მოვლენების გავლენაში ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, კვლევითი და სამკურნალო-დიაგნოსტიკურ საქმიანობაში არატრადიციული მედიცინის დარგში (რასაც ამ ჩვენს ტრადიციული მედიცინის მწვავე დეფიციტისა და ათასი რჯულის შარლატანების გამრავლების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს!).

სამწუხაროდ, ჩვენს ღრმა კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფოს არ გააჩნია მატერიალური სახსრები ცენტრის დაფინანსებისათვის. (სხვათაშორის კი, აშშ-ში, სადაც, როგორც ცნობილია, ფულის დათვლა ზედმიწევნით კარგად იციან, ამ საფინანსო წელს ამ დარგში ბიუჯეტიდან ხარჯი შეადგენს 12 მილიარდ დოლარს). ჯერჯერობით კი ჩვენი ცენტრი სამეურნეო ანგარიშზეა. და ის სამკურნალო — დიაგნოსტიკური მუშაობა პირველხანებში ფასიანი იქნება.

მე პირადად, უნდა აღინიშნოს, შარშან თბილისში მარტივენისის პერიოდში მქონდა კონტაქტები უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებთან, რაც დოკუმენტურად დამტკიცებულია.

ახლა კი მთელი ჩვენი უფოლოგთა საზოგადოების სახელით უნდა მოგმართოთ ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონში დისლოცირებულ ყველა საწარმოს ხელმძღვანელობას დიდი პატრიოტული ვალის შესრულებისკენ: ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურასთან გახსნილია ანგარიში: გთხოვთ გადმორიცხოთ, ვის რამდენი შეგიძლიათ (ვითვალისწინებთ თქვენს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას). შეუძლიათ შეუერთდნენ აგრეთვე კერძო პირებსაც, საქმიან წრეებს. თანხა არ დაიკარგება! უახლოეს პერიოდში ის დაგიბრუნდებათ ცენტრის კომერციული საქმიანობის შემოსავლების პროცენტებიდან. გაგვაჩნია ფართო კავშირი უცხოელებთან. კერძოდ, სექტემბრისთვის ველოდებით სპეციალისტების დიდ ჯგუფს იაპონიიდან. საერთოდ, ქალაქისთვის ამის მატერიალური და მორალური სარგებლობა უდავოა (რომ საქართველო რუსეთი არ არის, არსებობს ისეთი დიდი ისტორიის მქონე ქალაქი, როგორც ზუგდიდი, უნდა გავიტანოთ საერთაშორისო არენაზე!). შეასრულეთ პატრიოტული და ზნეობრივი ვალი! ის ასმაგად დაგიბრუნდებათ!..

ანგარიშის ნომერია: საქართველოს რესპუბლიკის უფოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საბანკო ანგარიში № 000609304 მრეწვმშენბანკი ქ. რუსთავი, თალეს შონია.

მალხაზ ქუთელია,
ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის ექიმ-თერაპევტი.

## ცოტა რამ ჩვენი წარსულიდან

სამეგრელოდამ: ზუგდიდი დღეს მშვენიერ ქალაქად გადაიქცა. მცხოვრებელნი გამოვიდნენ უწინდელ ქოხებიდამ და ლაზათიან ქვის — შენობებში დასახლდნენ. ცეცხლის შიშიც ეხლა ერთი-ასად ნაკლებია, ვიდრე უწინ, როცა წამ-და-უწუმ საქრობელის ზართა რეკისაგან გამოყრუებულნი ვიყავით. მაღაზიები ისეთს შენობებშია გამოჭიმული, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღება. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ვაჭრობამ სიმინლად ძირს დაიწია, ასე რომ აქაური ვაჭრები დუქნის ქირასაც ძლივს ისტუმრებენ და ბევრნი ხომ წელიწადში ერთხელაც ველარ ახერხებენ საქონლისათვის სხვა ქალაქებში წასვლას. მთელმა ზუგდიდის ვაჭრობამ დღეში რომ ასი მანეთი გაასწოროს, ისიც კაი საქმეა.

(„ივერია", 1887 წ. 18 სექტემბერი № 198).

მასალა რედაქციას მოაწოდა სულიკო ნუცუბიძემ.

## საკითხი, რომელიც ყველას გვაღელვებს

# უღირსი „მამები“

მარტოხელა დედათა და მათ მცირეწლოვან შვილთა პრობლემა შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. საუბედუროდ, ძალიან ხშირად მეუღლეებს გაშორებული მამები ემალებიან და გაურბიან ოჯახებს, თავს არიდებენ სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდას შვილების სასარგებლოდ. მარტო მიმდინარე წელს ჩვენს ქვეგანყოფილებაში გადმოგზავნილია 80-ზე მეტი ასეთი საქმე...

გვერწმუნეთ, ჩვენც გვიჭირს მათი ვინაობის გამომზეურება, მაგრამ მდგომარეობა გვაიძულებს სათქმელი პირდაპირ ითქვას. გაგაცნობთ მამებს, რომლებიც გაურბიან ალიმენტის გადახდას: მამუკა ალექსანდრეს ძე ჭანია მცხოვრები ქ. ზუგდიდის კლარა ცეტკინის ქუჩა № 26-ში, ყუფუნია თორნიკე ბონოს ძე მცხოვრები ახალსოფელში, შენგელია ანზორი შალვას ძე მცხოვრები სოფელ განმუხურში, ფაჟავა ანზორი ჟამიას ძე მცხოვრები ოდიშში, გელიაშვილი გივი დავითის ძე მცხოვრები კახათში, კუპრეიშვილი გივლა გიორგის ძე მცხოვრები ერგეტაში... და სხვანი.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, როგორც უნდა დაეცეს ქართველი კაცის ბუნება იქამდე, რომ საკუთარ შვილს ხელი ჰკრას. განა შვილები რამეში სცოდავენ? რა პასუხს აძლევთ უღირსი „მამები“ საზოგადოებას? თქვენგან მიტოვებული შვილები ხომ ხშირად ვერ პოულობენ სწორ გზას, პასუხი ვის უნდა მოეთხოვოს?

ვფიქრობთ, ეს პრობლემა ყველასათვის თანაბრად მტკივნეულია. მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება გამოგვიყვანს ხელოვნურად შექმნილი დაძაბული სიტუაციიდან, რისთვისაც ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

ზ. გოგია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი.

გამოსათხოვარი

# ჩვენს გულში დანთებული ხანძარი

იმ ავბედით დღეს შავი ღრუბლებით დაიფარა ზუგდიდის ზეცა...

ზუგდიდი ჭვარის რკინიგზის ხაზზე ვაგონების შეჯახების შედეგად (?) მოსალოდნელი ტრაგედიის თავიდან აცილებას ცდილობდა და თავს არზოგავდა ჩვენი სიყრმის მეგობარი, გულმართალი და შეუპოვარი, ვაჟკაცური შემართების ლამაზი ჭაბუკი მურმან ნინუა. მისი ცისფერი თვალები ხედავდნენ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რამდენ ოჯახს გააუბედურებდა ბენზინით სავსე ცისტერნის აფეთქება, გონება ელვის სისწრაფით მოქმედებდა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოესწროთ საწვავის მანქანებში გადატვირთვა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა განმუხტულიყო ექსტრემალური სიტუაცია, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად!!!

მურმანს არ ჩვეოდა უკანდახევა, მისთვის უცხო იყო შიში და ჩრდილში დგომა. ის ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა საოცარი აზროვნებით, სიმტკიცით, ლამაზი სულით. ამასთანავე დიდგული იყო და რაღაცნაირად გამორჩეული, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე ყველგან და ყველაფერში, აკი გამოარჩია კიდევაც ბედისწერამ...

ფერფლადქცეული დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს, პატარა ანუკის, მისი სული კი ზეცას შეერთო.

ხანძარი ჩაქრა. თითქოს დაწყნარდნენ ადამიანები, მაგრამ რა ჩააქრობს იმ ხანძარს, რომელიც ამ დიდმა ტრაგედიამ დაანთო ჩვენს გულში?!..

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აქ. შანტურია.

---

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების „მრეწველობის სამინისტროს ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აცხადებს, რომ მ—წლის 14 აგვისტომდე გრძელდება აბიტურიენტთა განცხადებების მიღება შემდეგ სპეციალობებზე:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ორგანიზაცია-ტექნოლოგია.

შენიშვნა: აღნიშნული სპეციალობა (საშუალო ბაზა) კომპლექსურია და მოსწავლეები შეისწავლიან ბუღალტერიას, აგრონომიას, ზოოტექნიკას და მექანიზაციას.

2. საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე (საშუალო ბაზა).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე (9 კლასის და საშუალო ბაზაზე).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ტექნიკუმის დირექციაში ყოველდღე გარდა კვირისა დილის 10 საათიდან.

ტექნიკუმის დირექცია.

---

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში განცხადებების მიღება გაგრძელებულია 14 აგვისტომდე შემდეგ სპეციალობებზე: „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა“, „სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები“, ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია“, „ხე-ტყის მექანიკური და ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია“, „დაკონსერვების (გემოკვების) ტექნოლოგია“. შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს: ატესტატი, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 086 „უ“, 4 ც. ფოტოსურათი 2Х3 სმ.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა შაბათ კვირისა.

მიმღები კომისია.

---

საქართველოს კულტურის სამინისტროს ზუგდიდის რაიონის კულტურის სახლი 1991-92 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: მუსიკალური ათწლედის პირველ და მერვე კლასებში, ჰრაკერვის, ჩონგურზე დაკვრის შემსწავლელ, მდივან-მემანქანის, ფოტო მოყვარულთა ერთწლიან კურსებზე, გიტარის, სამეჯლისო ცეკვების, სასულე ორკესტრისა და დასარტყმელი ინსტრუმენტის შემსწავლელ სამწლიან სტუდიაში.

მუსიკალური ათწლედის პირველ და მერვე კლასში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ცნობები,: საცხოვრებელი ადგილიდან, მშობლების საქმიანობის შესახებ, დაბადების მოწმობის ასლი, ფოტოსურათი ზომით 3Х4 (2 ცალი).

მერვე კლასში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ 7 კლასის დამთავრების მოწმობა და დახასიათება სკოლიდან, კურსებზე და სტუდიაში შემსვლელებმა კი დაბადების მოწმობის ასლი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, განათლების მოწმობის ასლი.

განცხადება მიიღება 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე. მისაღები გამოცდები მუსიკალურ ათწლედში ჩატარდება 29-30 აგვისტოს.

მისამართი: რუსთაველის 95, ზუგდიდის სარაიონო კულტურის სახლი ტელ.: 2 33-31.

---

საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელების და კერძო პირების საყურადღებოდ!

ზუგდიდის „ინფორმატიკის“ ცენტრთან არსებული კოოპერატივი „ალგორითმი“ გთავაზობთ:

გასამრავლებელ მანქანა „რანკ-ქსეროქ“-ზე და ლაზერულ საბეჭდზე შრიფტების თქვენთვის სასურველ გარნიტურებსა და ზომებს; ორიგინალური დიზაინით ფირმის ემბლემის, ინდივიდუალური სავიზიტო ბარათებისა და ნებისმიერი ტიპის ბლანკების მომზადებას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, საბუთების ზუსტი ასლის გადაღებას, რომელიც არ საჭიროებს ნოტარიუსის დამტკიცებას, მაღალი საიმედოობის, მარტივი მომხმარებლობის, უმაღლესი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასების გარანტიას.

მიმართეთ კოოპერატივ „ალგორითმს“. მომსახურებით თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. № 1.
ტელეფონი: 2-52-68.

---

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის სტამბა კერძო პირებისაგან იღებს, როგორც საქორწინო ისე სამგლოვიარო დასაუწყებელ ბარათებს სტამბური წესით დასაბეჭდად, ხელსაყრელ ფასებში. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სტამბის ადმინისტრაციას. შეკვეთები მიიღება დღიდან გამოქვეყნებისა.

---

ვცვლი ერთოთახიან ბინას მოსკოვიდან ქ. ზუგდიდში (სასურველია ენგურქაღალდკომბინატიც). პირობების გაგება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: სოფელი დარჩელი, ლიანა ასათიანი.

---

შვილი გურამი, დისშვილები: თინა ქვარცხავა, ინდიკო, ნელი ქირიები რენო ფიფია, დისშვილისშვილები ლალი, დოდო, ნანი ფიფიები, ნონა, კონსტანტინე ქვარცხავები, ლევანი, ნონა, მზია, მალხაზი ლუიზა, იზოლდა, მიხო ქირიები, მული ფოტინე ჩაჩიბაია, მულისშვილები: ნათელა ანჯაფარიძე, კარლო ნადარაია ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**თამარი ბათუს ასული ჩაჩიბაია.**

პანაშვიდი 3 აგვისტოს, 19 საათზე, დაკრძალვა 4 აგვისტოს, 17 საათზე, გამოსვენება ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი 36, მეორე სადარბაზო.

---

სოფ. ყულიშკარის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან **რამინ კოჩობას ძე ლაგვილავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ახლო მეზობლები იუწყებიან **ნიურა პლატონის ასულ სხულუხია-შანავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ეთერი, მამა შოთა, ძმები: მალხაზი, შალვა. დები: ფატიმა, მარინე. ძმისშვილები: დიმა, ლადო ჯიქიები. დისშვილები: გიორგი, თამუნა კვარაცხელიები. რომეო, ედიკო ბუკიები, რძალი იზოლდა, სიძეები: ბესიკ კვარაცხელია, რომან ბუკია. მამიდები: ფენია, ვარდიშა, გოგოლა. დეიდა ლოლია. ბიძები: ბიჭიკო, ნექტარ, დაფენტ შენგელიები. ბიცოლები: მზევე, მზია, ბიძაშვილები: თამაზი, ასმათი, კახა, რუსლან შენგელიები. მამიდაშვილები: მიმოზა, ლიანა, ემზარ, რევაზ კირთაძეები, ლუარა, გული, ქორდიკო, ენვერ ხვიჩავები. ნანა ჩიქოვანი. დეიდაშვილები: ლუარა, მადონა, ანზორ, ზური მოლაშხიები ოჯახებით იუწყებიან

**ლალი შოთას ასულ ჯიქიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი: 3, 4 აგვისტოს, დაკრძალვა 6 აგვისტოს, სოფ. რიყეში.

---

ყულიშკარის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები თანაუგრძნობენ შალიკო ლაგვილავას მამის **რამინ კოჩობას ძე ლაგვილავას** გარდაცვალების გამო.

---

დედა ზოია, მამა ბონდო, ძმა თენგიზი, ბებიები: ნუცა კონჯარია, ლენა ცაცუა. ბიძიები: ბონდო, ჯემალი ცაცუები. ანზორი სართანია, ბიძაშვილები: გია, აპოლონი ცაცუები, გიორგი, ლორიტა, ნანა სართანიები, მამუკა, ხვიჩა ყალიჩავები, ბიცოლები: ნაირა ცაცუა, ნაირა შონია, ციალა ყალიჩავა ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ბესიკი ბონდოს ძე ცაცუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 აგვისტოს, დაკრძალვა 8 აგვისტოს, ს. რიყეში.

---

მეუღლე ვარდო, შვილები: ჯუმბერი, რუბენ კალანდიები. ძმისშვილები: მურთაზი, ვახტანგი. რძლები: მედიკო, ბელიშა, ლეილა. შვილიშვილები: ჯონი ჯამბული, ნინო, ჯემალი. ბესიკი კალანდიები. ბიცოლა ქსენია, ცოლისდა ლუბა, ცოლისძმები: შოთა, იროდი მებონიები იუწყებიან

**გვანჯი მაქსიმეს ძე კალანდიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 აგვისტოს, დასაფლავება 6 აგვისტოს, გამოსვენება ივერიელის ქუჩა (ყოფილი კუტუზოვის ქუჩა) 49.

---

დედა თინა, შვილები: ჯუმბერი, რუსუდანი, შორენა. შვილიშვილი რობერტ კოხრეიძე. ძმა მურმანი, და ნანული თირქიები. რძალი ზაირა ფხალაძე სიძე ალეკო ქურცაძე. მამიდები: ნელი, ციცუნა, ბაბუცა, ტანია თირქიები, ძმისშვილები: შორენა, ლევან თირქიები. დისშვილები: ხათუნა, გოჩა ქურცაძეები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მერი ვალერიანეს ასულ გუჯაბიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 აგვისტოს დაკრძალვა 6 აგვისტოს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი რიგის ქ. 31.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-88-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. № 3221